ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) გავლენა ადამიანური რესურსების მართვაზე

მაია გამხიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია გამხიტაშვილი

15.06.2023

აბსტრაქტი

ნაშრომის საკვლევ საგანს წარმოადგენს ავტომატიზებული სისტემის eHRMS-ის (ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემა) გავლენა ადამიანური რესურსების მართვაზე. მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში დასაქმებული HR (ადამიანური რესურსის) მენეჯერებისთვის მოცემული სისტემის როლის დადგენა და HRMS სისტემის მნიშვნელობის შეფასება სამუშაო პროცესში. მოცემული ნაშრომით გამოიკვეთება, რა მნიშვნელობა აქვს მოცემულ სისტემას, ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის სარგებლიანობა HR მენეჯერებისთვის და ასევე სისტემის შესაძლებლობა დროის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით.

დღესდღეობით, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ნაკლები ადამიანური რესურსის ჩარევით შედეგის მიღწევა, რომელიც ასევე უფრო ნაკლებ დროს მოითხოვს. სამუშაო პროცესის წარმატება დამოკიდებულია დროის ოპტიმალურ გამოყენებაზე, რომ რაც შეიძლება მეტი თავისუფალი დრო გამოიყოს საქმის გასაკეთებლად. ნებისმიერი მენეჯერისთვის უნდა წარმოადგენდეს საინტერესო ასპექტს, თუ როგორ დაიზოგოს დრო ისე, რომ საქმე შესრულდეს ხარისხიანად. მუშაობის პროცესში დროის მენეჯმენტი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, სწორედ ამის გამო საჭიროა სწორად იქნას გადანაწილებული სამუშაო პროცესი. სხვადასხვა ტიპის საქმიანობაში, როგორიც არ უნდა იყოს კონკრეტული სფერო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისწრაფეს. სწრაფად შესრულებული სამუშაო ხშირ შემთხვევაში უშუალოდ დამსაქმებლისგან არის მოთხოვნილი, რის გამოც თანამშრომელს სჭირდება სწორი მიმართულების მიცემა და სწავლა თავისი დრო როგორ გადაანაწილოს.

ჩატარებული კვლევის შედეგად, ნაშრომში გაანალიზებულია HR მენეჯერის როლი და HRMS სისტემის გავლენა მის საქმიანობაში. წარმოდგენილია პრობლემები მოცემული სისტემის ათვისებასთან დაკავშირებით და ასევე რეკომენდაციები არსებული პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც დამუშავდა და შეჯამდა, წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა. მისი მიზანია სამუშაო პროცესის ეფექტიანობის გაზრდა, თანამედროვე გადაწყვეტილებების დანერგვით და დროის ოპტიმიზაციით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადამიანური რესურსი, ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, დროის დაზოგვა.

Abstract

The research subject of the paper is the human resources management of the automated system eHRMS (Human Resource Management System). The purpose of this paper is to determine the role of this system for HR (human resource) managers employed in Georgia and to evaluate the importance of the HRMS system in the work process. This paper will highlight the importance of this system, the usefulness of a unified electronic system of human resources management for HR managers, and also the system's ability to optimize time.

Nowadays, the most important factor is to achieve results with less human resource intervention, which also requires less time. The success of the work process depends on the optimal use of time to allocate as much free time as possible to do things. It should be an interesting aspect for any manager, how to save time so that the work is done qualitatively. Time management plays a big role in the work process, that is why it is necessary to distribute the work process correctly, speed. n many cases, the work done quickly is requested directly from the employer, so the employee needs to be given the right direction and learn how to allocate his time.

As a result of the conducted research, the paper analyzes the role of the HR manager and the impact of the HRMS system on his activities. Problems related to the utilization of the given system are presented, as well as recommendations related to the elimination of existing problems.

Based on the obtained information, which was processed and summarized, a unified electronic system of human resources management is presented. Its goal is to increase the efficiency of the work process by introducing modern solutions and optimizing time.

Search keywords: human resource , human resourse management system, time saving.